



**ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება №122
2016 წლის 1 ივლისი
ქალაქი გორი**

„სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების-ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ“ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს N23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

აგვისტოს თვეში საბავშვო ბაღებში აღსაზრდელო კონტიგენტი მკვეთრად მცირდება რიგი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, კერძოდ: გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელები გაყავთ ბაღიდან და ემზადებიან სკოლაში მისასვლელად და აგრეთვე ზაფხულის საშვებულებო პერიოდის გამო ბავშვები ოჯახებს გაყვანილი ჰყავთ ქალაქგარეთ, ამას ემატება ის გარემოებაც, რომ აგვისტოს თვე ყველაზე ცხელი პერიოდია ზაფხულის განმავლობაში და ყოველივე განაპირობებს კონტიგენტის შემცირებას. ახალი კონტიგენტის მიღება კი მხოლოდ 1 სექტემბრიდან - ბაღებში სასწავლო პროცესის დაწყებიდან ხორციელდება.

გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებისათვის გამოცხადდეს საზაფხულო არდადეგები აგვისტოს თვეში - 1-ლი აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების-ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ“ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 აგვისტოს N23 განკარგულებას დაემატოს მე-6² და მე-6³ პუნქტები შემდეგი რედაქციით:

ა) „6² ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის, გამოცხადდეს საზაფხულო არდადეგები აგვისტოს თვეში (1-ლი აგვისტოდან 25 აგვისტომდე) და ამ პერიოდში პერსონალის სახელფასო სარგოს გაცემა განხორციელდეს შეთანხმებული (დამტკიცებული) საშტატო ნუსხების თანახმად. საბავშვო ბაგა-ბაღების პერსონალის გამოცხადება მოხდეს 25 აგვისტოს, ხოლო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი განახლდეს 1 სექტემბრს.“

ბ) „ნ“. საზაფხულო არდადეგების პერიოდში გაიხსნას ე.წ. „საზაფხულო ბაღები“ ტერიტორიული პრინციპის გათვალისწინებით კომბინატის, წმინდა წყლისა და ქალაქის ცენტრალური ნაწილის დასახლებაში. აღსასზრდელთა დროებითი რეგისტრაცია განხორციელდეს „საზაფხულო ბაღებში“ ივლისის თვის პერიოდში. დაფინანსება მოხდება მოქმედი წესით-თითოეულ ბავშვზე 60 ლარის ოდენობით. „საზაფხულო ბაღების“ ფუნქციონირება განხორციელდეს ყოველწლიურად მორიგეობის პრინციპით.“

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ. №30)

საკრებულოს თავმჯდომარე

ი. ბერიძე

